ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

9 დეკემბერი კვირა 1973 წელი 2 ფურ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 286 (15803)

ᲓᲘᲓᲘ ᲯᲐᲜᲘ — ᲓᲘᲓᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ!

ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ 23 ᲓᲦᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ. ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲔᲡᲠᲣᲚᲝᲗ ᲒᲔᲒᲛᲐᲪ ᲓᲐ ᲜᲐᲙᲘᲡᲠᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲪ.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲐ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ). ᲞᲠᲝᲤᲡᲝᲞᲘᲣᲜᲘᲝᲜᲘᲡᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲛᲝᲛᲭᲠᲘᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲜᲐᲙᲘᲡᲠ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ. მიმდინარე ხუთწლედის ორ წელიწადსა და თერთმეტ თვეში წარმოებაში დაინერგა მათი ორი ათასზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება, რომელთა პირობითი წლიური ეკონომია 1.718 ათასი მანეთია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა შემოქმედებითი კომპლექსური ბრიგადების წვლილი, რომლებმაც ამ ხნის განმავლობაში დანერგეს 971 რაციონალიზატორული წინადადება. ამ წინადადებების ეკონომიური ეფექტი 762 ათასი მანეთია, ვალდებულებებით გათვალისწინებული 412 ათასი მანეთის ნაცვლად.

მეცხრე ხუთწლედისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწია ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს სოციალისტური შრომის გმირი, რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორი იოსებ ხაზარაძე. ბრიგადამ ორ წელიწადსა და თერთმეტ თვეში დანერგა ასამდე რაციონალიზატორული წინადადება, მათი ეკონომიური ეფექტი 200 ათას მანეთს აღემატება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ ᲤᲠᲗᲔᲑᲡ ᲨᲚᲘᲡ

ᲐᲑᲐᲨᲔᲚ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (ᲡᲐᲥ. ᲙᲝᲠ.). ᲭᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲜᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲗᲐ ᲐᲗᲘᲡᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲭᲘᲠᲝᲒᲠᲘᲗ ᲓᲐᲮᲣᲠᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲭᲠᲘᲚᲘ. ᲐᲮᲚᲐ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲭᲠᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ 1.718 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲡᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲜᲔᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ.

ᲐᲮᲚᲐ ᲭᲝᲠᲝᲮᲘᲡ ᲘᲜᲔᲠᲢᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲛᲭᲠᲘᲚᲔᲑᲡ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲗᲣᲕᲐᲕᲗ. ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲩᲘᲛᲝᲜᲐᲠᲩᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ. ᲐᲮᲚᲐ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲑᲠᲘ�გᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ Მ. ᲓᲔᲕᲔᲫᲔ, Ჯ. ᲩᲘᲒᲝᲒᲘᲫᲔ, Ლ. ᲙᲐᲪᲐᲣᲠᲘᲫᲔ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲔᲜ.

ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲘᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲗ 70 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲙᲣᲑᲝᲠᲘ ᲛᲔᲢᲠᲘ ᲘᲜᲔᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ ᲤᲠᲗᲔᲑᲡ ᲨᲚᲘᲡ

ᲐᲑᲐᲨᲔᲚ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ᲛᲡᲮᲛᲘᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲐᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲐ. ᲐᲑᲐᲨᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲓᲠᲔ ᲐᲛᲐᲧᲝᲑᲓᲜᲔᲜ „ᲐᲑᲐᲨᲣᲠᲘ ᲧᲘᲜᲘᲔᲚᲘᲐ“, ᲡᲝᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ. ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲠᲝᲓ, ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲘᲘᲜᲐᲬᲧᲘᲡ ᲓᲐᲮᲣᲠᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲬᲔᲚᲡ ᲛᲘᲪᲘᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲐ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲗ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲡᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲜᲔᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ.

ᲐᲮᲚᲐ ᲭᲝᲠᲝᲮᲘᲡ ᲘᲜᲔᲠᲢᲣᲚ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲡ ᲐᲪᲐᲠᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲓᲐᲜ ᲤᲝᲗᲝᲜᲘᲡ, ᲡᲐᲛᲢᲠᲘᲓᲘᲡ, ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲝᲜᲗᲐ ᲐᲮᲚᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲘᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲗ 70 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲙᲣᲑᲝᲠᲘ ᲛᲔᲢᲠᲘ ᲘᲜᲔᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ

ᲩᲥᲐᲠᲝᲡᲜᲣᲚᲘ ᲓᲜᲝᲑᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ მეტალურგიულ ქარხანაში კიდევ შრომობენ ის ხალხოვანი მეფოლადენი, რომლებმაც უშუალოდ გამოადნეს პირველი ქართული ფოლადი 1950 წლის 27 აპრილს. მათ შორის არის ხალხოვანი მუშა-მეტალურგი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მიხეილ სპანდერაშვილი.

ეს ხალხოვანი ადამიანი პირველი ქართული ფოლადის გამოდნობის დღიდან განუწყვეტლივ შრომობს მარტენის ღუმელთან და თავდადების ოქროვან მაგალითს აჩვენებს. მიხეილ სპანდერაშვილი არა მარტო რუსთავში, არამედ ჩვენი ქვეყნის მეტალურგიულ მრეწველობაშიც კარგად არის ცნობილი როგორც ფოლადის ჩქარობნულად დნობის შეუდარებელი ოსტატი. იგი ყოველი დნობის ხანგრძლივობის ვადას საათნახევრით აძცირებს და გეგმის გადამეტებით ათობით ტონა ფოლადს ადნობს.

ხახელოვან მეფოლადეს კიდევ ერთი დიდი ღირსება აქვს — სხვებისათვის არასოდეს არ იშურებს თავის მდიდარ ცოდნას და გამოცდილებას, ენთუზიაზმით ეხმარება ყველას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მეტალურგებს. უშანგ ჩუბინაძე, ოთარ ლომაძე, ილია ხარანაული, ელიზბარ შუბლაძე, ჩქაროსნული დნობის ოსტატები რომ გახდნენ, ამაში მიხეილ სპანდერაშვილსაც მიუძღვის წვლილი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მიხეილ სპანდერაშვილი.

Გ. ᲯᲘᲒᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ Ა. ᲠᲣᲡᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡ ᲐᲑᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲝᲠᲔᲑᲘ

ᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲣᲨᲐ�გᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ. ᲘᲡᲝᲜᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲓᲦᲔᲜᲘᲡᲬᲘᲜᲐᲨᲔ, ᲠᲝᲓᲘᲡᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲡ ᲡᲐᲥ XXIV ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲛᲬᲘᲡᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წელი მთავრდება დიდი მიღწევებით ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის განვითარებასა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ᲮᲐᲛᲠᲬᲧᲕᲔᲚᲝᲠ წარმოების ზრდის ტემპი აღემატება წლიური გეგმით გათვალისწინებულ ტემპს. ათ თვეში ᲮᲐᲑᲭᲗᲐ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐᲛ გეგმის გადამეტებით გამოუშვა ექვს მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია, მოლებულია ᲮᲐᲛᲐᲣᲚᲝ მიწათმოქმედების ისტორიაში ყველაზე უხვი მარცვლეულისა და ბამბის საერთო მოსავალი.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲔᲡ ᲮᲐᲑᲭᲗᲐᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ, ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ-ᲗᲐᲗᲐᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲭᲠᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ 2.500 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲙᲣᲑᲝᲠᲘ ᲛᲔᲢᲠᲘ ᲘᲜᲔᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ.

ᲛᲐᲗᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲖᲔ ᲐᲠᲘᲚᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ კორ.). დედაქალაქის მშენებლობებს სამშენებელო მასალებს უკვე მომავალი წლის აპრილის ანგარიშში აწვდის საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საშენ მასალათა ტრესტის თბილისის საკარიერო სამმართველო (უფროსი ხ. ᲙᲘᲫᲘᲐ) კოლექტივი. ᲐᲛ 1 დეკემბრისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.668 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად უკვე მოახდინეს 1.745 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია; გადაჭარბებით არის შესრულებული ეკონომიური რეჟიმის ფონდი, ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ (ᲪᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲑᲘᲡ) ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ კორ.). ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐᲨᲘ (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ Ა. ᲭᲘᲙᲝᲕᲐᲜᲘ) ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲐ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲗ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲡᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲜᲔᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ.

ᲐᲮᲚᲐ ᲭᲝᲠᲝᲮᲘᲡ ᲘᲜᲔᲠᲢᲣᲚ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲡ ᲐᲪᲐᲠᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲓᲐᲜ ᲤᲝᲗᲝᲜᲘᲡ, ᲡᲐᲛᲢᲠᲘᲓᲘᲡ, ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲝᲜᲗᲐ ᲐᲮᲚᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲔᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲭᲠᲘᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲔᲡ 971 რაციონალიზატორული წინადადება. ᲐᲛ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘ 762 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐ, ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ 412 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ.

ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲙᲘᲡᲠ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲗᲐ ᲨᲘᲡ ᲨᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲛᲝᲚᲐᲪᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐ, ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲠᲕᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ. ᲛᲘᲪᲮᲠᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲬᲐᲛᲘᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲡ ᲠᲘᲗᲛᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲓᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ. ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔᲡ ᲯᲘᲚᲓᲝ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ თავმჯდომარემ ნ. ᲒᲘᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘᲜᲘ 7 დეკემბერს კრემლში ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲛᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ გადასცა ᲩᲘᲠᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲜᲐᲒᲝ და ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲐᲜ ᲔᲚᲩᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲠᲬᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

7 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ სკკ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ გაიმართა სკკ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲬᲕᲠᲛᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ, სკკ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ მდივნის ბ. Ნ. ᲞᲝᲜᲝᲛᲐᲠᲘᲝᲕᲘᲡ შეხვედრა არგენტინის კომუნისტური პარტიის ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲡᲐᲓᲝᲠᲗᲐᲜ, ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐᲜ. ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲞᲐᲠᲢᲘᲠᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲔᲑᲘ. ᲛᲘᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

პარტიული ცხოვრება

სიჯყვიდან — საქმეზე

სიღნაღის რაიონული პარტიული აქტივის კრებაზე

რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის სიღნაღის რაიონში? ეი მთავარი თემა, რომელზეც ამ დღეებში ცხარე მსჯელობა გაიმართა პარტიული აქტივის კრებაზე.

პირდაპირ ითქვა, რომ დანაშაულობებს, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს კვლავ აქვს ადგილი. როგორც მომხსენებელმა, საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. ქარუშიძემ** აღნიშნა, რაიონში ფართოდ გამოვხმაურნენ სოფლების ხოლოსნისა და ტყვიავის მშრომელთა ადგილობრივი კომუნისტები, ხოლო გაშაშაშვილი პარტიის რიგებიდან გარიცხა.

პარტიის რაიკომმა რჩევა მისცა სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობას თანამდებობიდან გადაყენებინა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ი. ბიკაშვილი არსებული რეზერვების გამოუყენებლობისა და გეგმების შეუსრულებლობისათვის. ასეთივე ბედი ეწია საფინანსო დისციპლინის უხეში დარღვევებისათვის ბოდბის ალინინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ვ. ანანიაშვილს.

საინტერესოა, თავის დროზე რატომ არ აკეთებდნენ საათანადო დასკვნებს რაიონის პარტიკომი, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები? ამ კითხვაზე პასუხი გასცეს მომხსენებელმა და მოკამათეებმა. ყოველივე ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ცუდი შუშაობისათვის თანამდებობის პირებს პასუხს არ აკიბინებდნენ. აქტივზე მოყვანილი იქნა კონკრეტული მაგალითები იმის შესახებ, რომ დამკვიდრებული იყო კადრების გადანაცვლების მავნე პრაქტიკა, როცა ჩაარდნებისა და დარღვევების გამო ხელმძღვანელებს კი არ ეუბნებოდნენ, არაფერ „გაკეთებისაგან“ იხსნიდნენ ხოლმე. რაიკო

ნიუ-იორკი

გენერალურ ასამბლეაზე

წინადადება მოიწონეს

ნიუ-იორკი, 8 დეკემბერი. (საკადრო). პარასკევს ხალამოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ თავის სხდომაზე ხმების უდიდესი უმრავლესობით მოიწონა სხრ კავშირის წინადადება, რომ 10 პროცენტით შემცირდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ სახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტები და დაზოგილი სახსრების ნაწილი გამოიყენონ განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად.

ამ წინადადებას ხმა მისცა 88 სახელმწიფომ. წინააღმდეგ გამოვიდნენ ჩინეთი და ალბანეთი, 38 ქვეყანამ, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა, თავი შეიკავა.

□ □

ვიეტნამელებს ანსლო კიდევ ესაუბრებოდნენ

კვლავ დაძაბულობა

კაირო, (საკადრო). ვიეტნამელებ ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე სუფიტს, ისმაილიის, აბუ-სუვეირისა და სხვა რაიონებში კვლავ დაძაბულია. „ამ ბოლო დღეებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევათა რიცხვი“, — განაცხადა აქ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა. მარტო ერთ დღეში ეგვიპტის მხარემ შვიდჯერ განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლებს პრეტენზია იმის გამო, რომ ისრაელის მხარე არღვევს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

კაიროს გაზეთები წერენ, რომ გუშინ გაიმართა სპეციალური ბრიფინგი ეგვიპტისა და ისრაელის თვითმფრინავებს შორის, რომლის დროს ეგვიპტელებმა ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავი — მეორე განადილ 24 საათში.

ეგვიპტის დედაქალაქში გამართული პრეს-კონფერენციაზე ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა აქმედ ანისმა განაცხადა, რომ ეგვიპტის პოზიცია კაირო-სუეცის გზის 101-ე კილომეტრზე მოლაპარაკების განახლების მიმართ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სურს ისრაელი პაქიის თავის ხელმოწერას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტებზე.

როგორც ა. ანისმა თქვა, ეგვიპტის პოზიციას კვლავაც საფუძვლად უდევს შემდეგი მოთხოვნები:

— ყველა მხარე უნდა აცრუნდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ;

— უნდა შესრულდეს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების გამოყვანის შესახებ; უნდა აღდგინონ პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებები.

ეგვიპტის საზოგადოებრიობა სერიოზულად არის შეშფოთებული ცეცხლის შეწყვეტის ხაზებზე მზარდი დაძაბულობის გამო. შექმნილი ვითარების მიზეზი, წერს გაზეთი „აფოკპაბრი“, ის არის, რომ ისრაელი გაჰპირველებს პოლიტიკას აფგას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს და სხვა ამ დოკუმენტების მიმართ, რომელთა მთავარი პუნქტია ჯარების დაბრუნება 1973 წლის 22 ოქტომბრის პოზიციებზე.

დაძაბულობის გაძლიერება და ისრაელის მიზეზით შეიარაღებულ შეტაკებათა განახლება, წერს „აფ-აჰრამი“, მნიშვნელოვანწილად უშიოის ხელს კრიზისის პოლიტიკურ მოწესრიგებას. ასეთი სიტუაცია ხელს ჯერ შეუწყობს მომავალი საზაფო კონფერენციის მუშაობას.

ბეირუთი, (საკადრო). ისრაელის არტილერიამ ეგვიპტი დაუშინა ლიბანის დასახლებულ პუნქტებს ბინტ-ჯბეილისა და მარჯაუნის მახლობლად. დაანგრეულია საცხოვრებელი სახლები, მშვიდობიან მოსახლეობაში არის მსხვერპლი.

როგორც გაზეთი „ალ-ჰაიათი“ აღნიშნავს, მნიშვნელოვნად გამწვავდა ვითარება ლიბანის სამხრეთ საზღვარზე, სადაც გრძელდება ისრაელის ჯარების კონცენტრაცია.

ჩილეში

სურათზე: ხუნტის ჯარისკაცები ასე აგუჯად იგდებენ დაპატიმრებულ დემოკრატებსა და პატრიოტებს, რომლებიც სულ უფრო აქლიერებენ ბრძოლას ჩილეში დამყარებული ახალადელი რეჟიმის წინააღმდეგ. ფოტო ჟურნალ „ჯეიგელიდან“ (გდრ).

პარიზი. ცენზურისა და ხელისუფალთა ყალბი განცხადებების მიუხედავად, ჩილედან მიღებული ცნობები ადასტურებენ პატიოტთა წინააღმდეგ ხუნტის რეპრესიათა ფართო გაქანებას, წერს გაზეთი „ლუმანიტე“. მთელ ქვეყანაში არ წყდება ხალხის დევნა, დაპატიმრება, ოცცა-ულტა, მუშამოსახსახურეთა მასობრივი დათხოვნა. ქალაქ ლა-სერენის რაიონში გადატრიალების შემდეგ შექმნილ საკონცენტრაციო ბანაკში ამჟამად 600-ზე მეტი პოლიტიკური პატიმარია. წამების შედეგად გარდაიცვალა კომპმოს პროვინციის პრეფექტი კომუნისტი როსენდო როხასი. კარიკინის კუნძულზე საკონცენტრაციო ბანაკში დაამწყვდიეს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა ფედერაციის გენერალური მდივანი ანტონიო ლეალი. მას სიკვდილი ეიმუერება. ხუნტა ბრალად დებს მას, რომ იყო ეგრეთ წოდებული „ზეტის გეგმის“ წევრი — ეს არის ნიღაბი, რომელიც პუტჩისტებმა მოჩმახეს სახელმწიფო გადატრიალებისა და რეპრესიების განხორციელებლად.

ხუნტის მხედრიონის თარეში

ლონდონი. მილიონობით ინგლისელი თვალნათლივ დარწმუნდა, თუ რა მხეცობას ხჩადის ხუნტა ჩილელ პატრიოტთა მიმართ. ერთ-ერთმა სატელევიზიო კომპანიამ აქ უჩვენა დოკუმენტური ფილმი ჩილეს მდგომარეობის შესახებ.

... ეკრანზეა სანტიაგოს ქუჩები, რომლებსაც პატრულობენ თავით ფეხამდე შეიარაღებული ჯარისკაცები. „ჩილეს გენერლების სინდისზეა 5 ათასი დაღუპული ადამიანი. გადატრიალების შემდეგ მარტო პირველი ორი კვირის მანძილზე, აღნიშნავს დიქტორი, — ხუნტამ 2.796 კაცი დახვრიტა. მათ შორის არიან ქალები. მოხუცები. უმაწვილები“. ტელემაყურებლებმა ნახეს სანტიაგოს მიმინარე პპოროსნი ადამიანური ფიგურები. განმარტავს რა ამ კადრებს, დიქტორი ამბობს. რომ დახოცილნი მუშათა უბნებზე ჯარისკაცთა მოდმივი თავდასხმების მსხვერპლი არიან. მარტო ერთი ასეთი თავდასხმის დროს სანტიაგოში 30-ზე მეტი კაცი დახოცეს.

ბუენოს-აირესი. ინტერვიუ არაენტინელ ინჟინერ ე. პერისთან, რომელმაც თავი დააღწია ქალაქ ვალდივიაში ჩილის ხუნტის საპყრობილეს. გამოაქვეყნა ადგილობრივმა გაზეთმა „ოპინიონმა“. მე დამპატიმრა სამხედრო პატრულმა და გადამცა ავშოის დაზვერვას. თქვა ინჟინერმა. როცა იქ შეიტყვეს, რომ არკენტინელი ვარ. სახტალა მიცემეს. ელექტროდენით მაწამებდნენ. მერე კედელს გამაკრეს, პირში ჩვარი ჩამჩარეს და ცხენიანი წყალი მასხეს, სანამ გონება არ დავკარგე. (საკადრო).



მსოფლიო დღეს

საერთაშორისო მიმოხილვა

ევროპა და ვიეტნამი მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომელმაც დიდი გავლენა უნდა მოახდინოს ევროპის კონტინენტის მომავალზე.

ევროპის მოლაპარაკებაზე ამზადებენ დოკუმენტებს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი ეტაპისათვის. საერთოდ დისკუსია მიმდინარეობს საქმიან, კონსტრუქციულ ვითარებაში და უკვე დაისახა გარკვეული პროგრესი, რომელიც გვაძლევს წარმატების იმედს, თუმცა კაპიტალისტური და სოციალისტური ქვეყნები სხვადასხვაგვარად უდგებიან მთელ რიგ კონკრეტულ პრობლემებს.

ეს უწინარეს ყოვლისა ეხება იმ მთავარი პოლიტიკური დოკუმენტის შემუშავებას, რომელიც ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის ორძა უნდა გახდის. **სხრ კავშირმა თათბირის მონაწილე ქვეყნების განსახილველად შეიტანა „ევროპის უშიშროების საფუძვლებისა და ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობის პრინციპების გენერალური დეკლარაციის“ პროექტი.** ახლა განიხილავენ ურთიერთობის ყველაზე პრინციპებს. ამასთან ერთ-ერთი მთავარი — საზღვრების ურღვევობის პრინციპი — უკვე განიხილეს.

□ ევროპაში მუვიდობა რომ სუფევდეს

□ ხუნტის ახალი დანაშაული

დრო და ამბები

□ პარლამენტის არჩევნები დანიაში

პარალელურად მზადდება დოკუმენტი ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ: მისი მომზადება განსაკუთრებით წარმატებით მიმდინარეობს. შედარებით მეტი დადებითი საკითხი აქვს ჯერჯერობით კომისიას, რომელიც ამზადებს დოკუმენტს ტურიზმის, განათლების, კონტაქტებისა და ინფორმაციის დარგში თანამშრომლობის შესახებ. მაგრამ ამ ბოლო დროს ამ კომისიამაც წინ წაიწია მის წინაშე დასახული ამოცანათა გადაწყვეტაში.

ევროპის მოლაპარაკება ფორმალურად დაკავშირებული არ არის ევროპის მოლაპარაკებასთან, მიუხედავად ამისა ევროპის კონტინენტის ყველა ხალხი დაინტერესებულია მისი დადებითი შედეგებით, ვინაიდან იქ საქმე ეხება ისეთ დიდმნიშვნელოვან და აქტიურ პრობლემას, როგორიცაა შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირება ცენტრალურ ევროპაში.

ევროპის მოლაპარაკების მონაწილეები შეიკრიბენ ორი პროექტის — საბჭოთა კავშირისა და ამერიკის პროექტების შესწავლას. **სხრ კავშირის წინადადებაა 1975-1977 წლებში სამ ეტაპად განხორციელდეს ერთი მხრივ საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის, და მეორე მხრივ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ბოლანდიის, ბელგიის, ლუქსემბურგისა და კანადის შეიარაღებული ძალების პროცენტულად თანაბარი შემცირება. ამავე დროს უნდა შემცირდეს ადგილობრივი ყველა სახეობის შეიარაღება, მათ შორის ატომურიც.**

ამერიკის წინადადებით უნდა შემცირდეს მხოლოდ ორი ქვეყნის — სხრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები, თანაც, ამერიკის პროექტის მიხედვით, საბჭოთა კავშირმა უფრო მეტად უნდა შეამციროს ჯარები, ვიდრე შეერთებულმა შტატებმა. გარდა ამისა, გათვალისწინებულია, პირველ ხანებში მაინც, დასჯერდნენ სახმელეთო ჯარების შემცირებას და ცენტრალური ევროპის ფარგლების გარეთ არ გაიტანონ იქ განლაგებული იარაღი.

როგორც ვხედავთ, განსხვავება ორივე მეცრეა. მაგრამ მთავარია ის, რომ მხარეები მზად არიან მთელი სერიოზულობით მიუდგნენ ესოდენ დიდმნიშვნელოვანი საკითხის განხილვას და, ყველა დელეგაციის წარმომადგენელთა აზრით, მოლაპარაკებაზე შექმნილი ატმოსფერო ცხადყოფს მისწრაფებას მიაღწიონ ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებას.

ფაზიზმი ჩილეში აჩრდილი კი არა, ხორცშესხმული ურჩხულია — ასე ეხასიათებს ჩილეს დღევანდელ სინამდვილეს კოლუმბიის ერთ-ერთი უდიდესი ბურჟუაზიული გაზეთი „ტემპო“. ამრიგად, ბურჟუაზიული პრესის ზოგიერთი ორგანოც კი უკვე აღშფოთებით წერს იმაზე, რაც ოქმ ექვსი სამი თვეა ხდება ჩილეს მიწა-წყალზე. ათიათასობით პატრიოტი დახვრიტეს, წამებით მოკლეს, იტანჯებიან საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. სიკვდილის საფრთხე მოელის ჩილის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ მდივანს ამხანაგ ლეონ კორვალანს.

ჩილელი ხალხის ჯალათები აცხადებენ, რომ მათი ამოცანაა „მოსპონ კომუნიზმი“, „აღმოფხვრან მარქსიზმი“. მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ მათი გაფურჩქვნული ანტიკომუნიზმი მხოლოდ უბადრუკი ეკლია შენიღბოდ ფრონტალური შეტევა მთელი ჩილელი ხალხის დემოკრატიული უფლებებსა და მოქალაქეობრივ თავისუფლებებზე. ჩილეში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს აღგილობრივი მემამულურ-ფინანსური ოლიგარქიისა და იმპერიალისტური მონოპოლიების ბატონობის აღდგენა. ჩილეს ბუნებრივ სიმდიდრეებს, მიწებს, ფაბრიკებსა და ქარხნებს, რომლებიც სახალხო ხელისუფლების წლებში მშრომელების ხელში იყო, უბრუნებენ ძველ მფლობელებს, მათ შორის უცხოეთის მონოპოლიებს. **უსასტიკესი დიქტატურის დახმარებით ხუნტას განზრახული აქვს აღორძინოს არსებითად კოლონიური წყობილება იმპერიალიზმისა და ოლიგარქიის ინტერესებისათვის.**

რეაქცია არაფერს არ ერიდება, ოღონდ შეაჩეროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი, ანტიიმპერიალისტური ბრძოლის პროცესი ლათინური ამერიკის კონტინენტზე.

მთელ მსოფლიოში ფართოდება მძლავრი საპროტესტო მოძრაობა ჩილელი ფაშისტებისა და ურუგვაელი რეაქციონერების ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. ხალხები გადაჭრით მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ამხანაგები კორვალანი და არასმენდი, ლათინური ამერიკის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ყველა მებრძოლი, რომლებიც საკონცენტრაციო ბანაკებსა და საპყრობილეებში იტანჯებიან.

დანიაში გაიმართა პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები. არჩევნების მოწყობა გამოწვია იმან, რომ ამ ცოტა ხნის წინათ სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ დაკარგა თავისი უმნიშვნელო (ერთი ხმა) უმრავლესობა ფოლკეტინგში.

არჩევნების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა პარლამენტის შემადგენლობა. ბევრი ადგილი დაკარგეს რომორც მმართველმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, ისე ფოლკეტინგში წარმოდგენილმა ბურჟუაზიულმა ოპოზიციის პარტიებმა. ამავე დროს ახალ პარლამენტში ადგილები მოიპოვეს ხუთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლობამ, რომელიც წინათ პარლამენტში წარმოდგენილი არ იყვნენ. მათ შორის დანიის კომპარტიამ მიიღო ექვსი დეპუტატის მანდატი.

არჩევნების შედეგების შეფასებისას პოლიტიკური მეთვალყურენი უწინარეს ყოვლისა აღნიშნავენ, რომ ეს შედეგები ასახავენ დანიელთა მზარდ აუღლაბეხილობას საერთო ბაზარში დანიის მონაწილეობის გამო, მოსახლეობის ფართო ფენების უკმაყოფილებას დანიის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესების, ფასებისა და გადასახადების ზრდის, ინფლაციის გაძლიერების გამო. მართალია, ერის შეიგვალ, რომ მომდინარე ნოემბერ ოფნი მეორეთოა ევროპის ეკონომიურ გაერთიანებას, ძირითადი სასურსათო პროდუქტები გაძვირდა 20-30 პროცენტით, ზოგიერთი პროდუქტი კი 70 პროცენტითაც!

ამიტომ საკვირველია არ არის, რომ როგორც ამასწინანდელმა გამოკითხვამ ცხადყო, მოსახლეობის ოთხვალენრმა პირველი გაალაშქრა საერთო ბაზარში დანიის მონაწილეობის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ერთ დროს სწორედ დანიის კომუნისტების ინიციატივით შეიქმნა „სახალხო მოძრაობა საერთო ბაზრის წინააღმდეგ“. არჩევნების შედეგები ასახავენ ამ მოძრაობის მზარდ გაღლენას.

ბევრი კომენტატორი შემთხვევით როდი უწოდებს ამ ვადამდელ არჩევნებს „სპარტაკუსტო არჩევნებს“. აღნიშნავენ აგრეთვე, რომ ფოლკეტინგში ძალების ახლანდელი თანაფარდობისა და დანიაში პოლიტიკური ძალების მზარდი პოლარიზაციის პირობებში რთულია ახალი მთავრობის შექმნა. (საკადრო).

ტელეტაიპის ლენტიდან

ფაქტები

თავდასხმის ცდა

პარიზი, 8 დეკემბერი. (საკადრო). რეიუნიონიდან მიღებული ცნობებით, უცხო პირებმა სცადეს თავს დასხმოდნენ რეიუნიონის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს პოლ ვერეეს. „ავტომობილისათვის მებრძოლმა რევოლუციურმა კომეტემა“, რომელშიც გაერთიანებული არიან კუნძულის პროგრესული პარტიები, გამოაქვეყნა კომუნიკე, სადაც ნათქვამია, რომ პ. ვერეეს ხის მანქანაში ჩადეს ბომბი. საბედნიეროდ აფეთქების მომენტში მანქანაში არავინ არ ყოფილა. ამ ბოლო თვის მანძილზე ეს უკვე მეორედ სცადეს მოეკლათ რეიუნიონის კომპარტიის გენერალური მდივანი.

მოწოდება მუვიდობისმოყვარე ძალებისადმი

ჟენევა, 8 დეკემბერი. (საკადრო). აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში მშვიდობის მოიფლეო საბჭო მოუწოდებს მსოფლიოს მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს მოთხოვონ ისრაელის მთავრობას, რომ მთლიანად და ზუსტად შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, რომელთა მიზანია სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარება ახლო აღმოსავლეთში.

საგანგებო კონფერენცია

ბონი, 8 დეკემბერი. (საკადრო). აქ გაიხსნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგანგებო კონფერენცია.

კონფერენციის მონაწილენი მოისმენენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, კანცლერ ვ. ბრანდტისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილის, ფინანსთა მინისტრის ჰ. შმიდტის მოხსენებებს ეკონომიური კრიზისისა და იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც ამასთან დაკავშირებით ახორციელებს მთავრობა.

კონფერენცია განიხილავს აგრეთვე საკითხს, თუ ვინ შეცვლის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს გ. ჰაინემანს, რომელმაც განაცხადა, რომ თავის კანდიდატურას აღარ დაასახელებს პრეზიდენტის მომავალი წლის არჩევნებზე.

იზრდება უმუშევრობა

ვაშინგტონი, 8 დეკემბერი. (საკადრო). უმუშევრობის დონის მკვეთრი ზრდა აღინიშნა შეერთებულ შტატებში ნოემბრის მანძილზე. ამ თვეში, წინა თვესთან შედარებით, უმუშევრობა გაიზარდა 0,2 პროცენტით და მიაღწია მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 4,7 პროცენტს.

ფაქტი კომენტარით

ანტიკომუნისტური ფარსი

პარიზი. ხაბერძნეთის დედაქალაქში მოაწყვეს მორიგი ანტიკომუნისტური ინსცენირება, რომელიც მომდინარეობდა „1944 წლის დეკემბრის ამბების წლისთავის“ ეპრით. მასში მონაწილეობა მიიღეს თვით პრემიერ-მინისტრმა ანდრუცოპულოსმა, მთავრობის წევრებმა, უმაღლესმა სამხედრო სარდლობამ, პოლიციისა და ჟანდარმერიის უფროსებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

რა წლისთავს აღნიშნავდა საბერძნეთის ახალი რეჟიმი, რომელიც ხელისუფლებას სათავეში ჩიუდგა 25 ნოემბრის სამხედრო გადატრიალების შედეგად?

როგორც ცნობილია, 1944 წლის შემოდგომაზე გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებისაგან საბერძნეთის განთავისუფლების შემდეგ ქვეყნის რეაქციულმა ძალებმა საერთაშორისო იმპერიალიზმის მხარდაჭერით სცადეს წაერთმიათ ბერძენი ხალხისათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მსვლელობაში მიღწეული მონაპოვრები და განეიარაღებინათ ელასის (ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმია) რაზმები, რომელთა წამყვან ძალას ბერძენი კომუნისტები შეადგენდნენ. რეაქციის მოქმედებამ ხალხის მასების პროტესტი გამოიწვია. 1944 წლის 3 დეკემბერს ათენში მიიმართა მრავალათასიანი დემონსტრაცია. მასების ეს გამოსვლა სასტიკად ჩაახშეს პოლიციამ და ჟანდარმერიამ.

გამოვიდა რა ახლა „სამახსოვრო ცერემონიაზე“, საზოგადოებრივი წესრიგის მინისტრმა ეკონომინამ, პოლიციისა და ჟანდარმების ბრძოლა 1944 წლის დეკემბერში ხალხის წინააღმდეგ დაახასიათა როგორც „გმირული მოქმედება კომუნისტური საფრთხისაგან სამშობლოს გადარჩენისათვის“. თავის სიტყვაში, რომელიც უხვად შეიცავდა ანტიკომუნისტურ გამოხდომებს, მინისტრმა დიდის ამბით განაცხადა, რომ უშიშროების კორპუსი შეიარაღებულ ძალებთან ერთად კვლავაც დაიხმარება ახალი რეჟიმის „აღმშენებლობითს ღონისძიებებს“.

რაც შეეხება „აღმშენებლობითს ღონისძიებებს“, ახლანდელი რეჟიმის მინაპოლეტიკური კურსი ამ მხრივ არავითარ ილუზიას არ იწვევს ბერძნებში. 1974 წლისათვის დანიშნული მონიციპალური და პარლამენტის არჩევნები გაუქმებულია. ქვეყანაში გრძელდება სამხედრო წესები, რომელიც 17 ნოემბერს შემოიღეს დიქტატორული რეჟიმის მასობრივი სახალხო გამოსვლების გამო.

ის გარემოება, რომ ათენის ახალმა ხელისუფლებამ, რომლებიც თავიანთ წინამორბედთა კვალდაკვალ მიდიან, დიდის ამბით აღნიშნეს, „1944 წლის კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის“ წლისთავი, მხოლოდ ზედაპირ ტრონს უმატებს საბერძნეთის ახლანდელი რეჟიმის უკვე ცნობილ პოლიტიკურ პორტრეტს. (საკადრო).

რეპრესიები ურუგვაიში

ბუენოს-აირესი. აქ მიღებული ცნობებით, ურუგვაიში გრძელდება რეპრესიები ქვეყნის დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ. როგორც უკვე მიუწყებოდით, დაპატიმრებულია ურუგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი როდნეი არისმენდი. მარტო უკანასკნელ დღეებში დაპატიმრეს 150-ზე მეტი პროგრესული პოლიტიკური მოღვაწე. უშიშროების სამსახურის აგენტები თავის დაესხნენ ყოველკერეული „მარჩის“ რედაქციის შენობას. ყველა იქ მყოფი თანამშრომელი დაპატიმრეს. დასაბუქდად გამზადებულ მასალებს კონფისკაცია უყო პოლიციამ.

მონტევიდეოში ჯარისკაცები და პოლიციელები პატრულობენ ქუჩებს. მიმდინარეობს ჩხრეკა იმ მიზნით. რომ დაპატიმრონ კომუნისტური და სოციალისტური პარტიებისა და ქვეყნის სხვა პროგრესული ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

კარაკასი. ვენესუელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ თავის გამოსვლაში გადაჭრით დაგმო რეპრესიები, რომლებსაც ურუგვაიში აბორიცელებენ. აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში ვენესუელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სოლიდარობას უცხადებს კომუნისტურ და სხვა პროგრესულ პარტიებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც აკრძალა ურუგვაის პრეზიდენტის ბორდაბერის მთავრობამ.

მეხიკო. „კუდიანებზე ნადირობა“. რაც გააჩალეს ურუგვაიში პროგრესული პოლიტიკური მოღვაწეების წინააღმდეგ. აღშფოთებასა და გულისწყრომას იწვევს, წერს მექსიკის გაზეთი „დია“.

ურუგვაის საუკეთესო შვილების დევნა და დაპატიმრება, ხალხს უსაზღვრო გაზეთი, ადამიანის უფლებათა ამბუნად აგდებაა, უკიდურესი რეაქციული დიქტატურის დამკვიდრებაა. რეპრესიები. რომლებიც პრეზიდენტ ბორდაბერის რეჟიმმა გააჩაღა ქვეყნის პროგრესული ძალების წინააღმდეგ, უშუალოდ დაკავშირებულია ჩილეს ფაშისტურ გადატრიალებასთან, მოასწავებს ურუგვაის პოლიტიკური ცხოვრების თვისებურ „ჩილეზაციას“. (საკადრო).

პოეტის გზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილ მწერალს აკაკი გეწაძეს 50 წელი შეუსრულდა. ლექსების პირველი წიგნი — „ჩემი ასეული“ მან ოცდაოდე წლის წინათ გამოაქვეყნა. ნიჭიერი და ნაყოფიერი პოეტი, პროზაიკოსი და დრამატურგი ამჟამად ოცდახუთი წიგნის ავტორია. მეკოთხეულმა კარგახანია შეიყვარა ხალასი იუმორით გამთბარი მისი რომანები: „ყარამან ყანთელაძე“, „მუზარადში ამოსული ყვავილი“ და „ჭვარცმული მზე“, საყოველთაო აღიარება ჰპოვეს ოსტატურად დაწერილმა მართალმა მოთხრობებმა: „მხოლოდ ერთი ნაბიჯი“, „შვილო-გოგია“, „გაქვავებული მზე“ და „ხადგურიდან ხადგურამდე“.

ქართულ ცენტაზე დაიდგა შვიდი პიესა, მათ შორის ოთხი კონკურსებზე გამარჯვებული: „მზე ცრემლში“, „ხულხან-ხაბა“, „წმინდანები ჯოჯოხეთში“ და „პაემანი ცაში“. დრამატული პოემა „წმინდანები ჯოჯოხეთში“ მრავალმა სახელმწიფო და სახალხო თეატრმა წარმოადგინა წარმატებით, საკავშირო კონკურსში ხსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და მწერალთა კავშირის პრემია და დიპლომიც დაიმსახურა.

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მწერალი ნამატიო სიგელით დაჯილდოვა.

აკაკი გეწაძის რომანები, მოთხრობები, პიესები და ლექსები თარგმნილია რუსულ და სხვა მოძმე ხალხთა ენაზე.

მწერლის პირველი წიგნი გამოქვეყნდა მაშინ, როცა მას ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა და თავდადებით იბრძოდა დიდ სამამულო ომში. 1947-48 წლებში იგი „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტად მუშაობდა რაჭა-ლეჩხუმის რაიონებში და შემდეგაც არ შეწყვეტია ჩვენს გაზეთში აქტიური თანამშრომლობა.

ქვემოთ ვაქვეყნებთ აკაკი გეწაძის ახალ ლექსებს.

□ □

ეიფელსკვით ქვეყნიბ

მძინარე ცა იღვიძებს
მზის სხივების წყალობით.
— „ლილე“, ძმებო!
ლილის მზის
შეხვედით მზიურ ალობით!
ურთიერთმოფერფლით
ლაკვლიავებენ ფერება.
ამ ცასავით ძველია
ქართული სიმღერები.

ცას უჭირავს ნამგალი,
გზას მისდევენ ქალები.
— შენი ეშხით დამთვრალი
ლენინს დავიძალები.
„ლალები და ლალები,
მაყვალს გიგაგს თვალები,
თვალი მაყვალს დაუდგება,
შენ კი ვინაცვალები“.
მზეში იწვის ცისკარი,
ლილა — ანგარდული,
სიყვარულის ხნის არი
სიმღერები ქართული.

ვალი ლილის ნისლში წევს,
დასდებია ზღვისფერი.
ვალზე ყანა ლაკვიძებს
„ოდოიას“ სიმღერით.
გზებს ადგიძებს მგზავრული,
გზები მგზაურებს ელიან...
სიმღერები ქართული
მიწასავით ძველია.
გვესეოდა მტკვრისფერი
მტკერი — მტკვერზე ულვივ.
მზის ვეძებდით სიმღერით
ომში დაცვიმულებიც...
ქართული მზის ჩაჭრობას
ვარა, ვერ ვიჯერებდით.
მზიან ცრემლის ხნის არი
ქართული სიმღერები.

მომხდურს თვალებს უფანდა
ჩვენი ვაზის ნაცარი.
ვაზის ჩუქურთმიანი
ზეიმობდა ტაძარი.
ვაზი მაინც ვაზობდა,
ბუბუნებდნენ ქვევრები...
ღვინის ღმერთის ხნის არი
ქარი ული სიმღერები.

მიწა იღების სხვა იერს
მზის ღიმილით გამთბარი.
მღერის „მრავალეამიერს“
დღეს მზიანი მთა-ბარი.
წინ დღეები ავლილან
საფეი ბედნიერებით.
ომდებით ძველია,
სიცოცხლისაბრ ძველია
ქართული სიმღერები.

ცა მძინარე ღვიძებს
მზის სხივების წყალობით.
„ლილე“, ძმებო!
ლილის მზეს
შეხვედით მზიურ ალობით!

რასაც კაცი ქმნის

ბა, გუმბათი ძველი ტაძრის,
უხსოვარი ხნის.
უკვდავია არა კაცი, —
რასაც კაცი ქმნის.

ფერი ცისკრის, ფერი ნაცრის,
ჩუქურთმები მზის...
უკვდავია განა კაცი, —
რასაც კაცი ქმნის.

კაცის ხმაზე მღერის თოფლის
ულტვი სული ქვის...
თუმცა კაცი მოკვდავია,
უკვდავებას ქმნის.

ჭალარა

მე ვიცნობ ორ კაცს,
იმ ორთავეს თეთრი აქვს თმები.
ერთის სითეთრით ვიყინები, მეორით — ვთბები.
ორივეს თეთრი გაჩნდა თეთრად ღამეთა ტეხით,
მაგრამ ორივეს გულში ენთო სხვადასხვა ცეცხლი.
ერთი დღედაღამ მხვნელს და მთესველს ლუკმას ჰპარავდა,
ყაჩაღურ ფიქრით ძილგამეყდარი გაჭაღარავდა.
მისი ჭაღარა ბოროტების არის ნიშანი,
არის ნიშანი მრუდკაცობის, გულის სიშავის.
ხოლო მეორე ქვეყნის ბედზე ფიქრობს ნიადაგ,
კაცის სიცოცხლე რწმენის შუქით გაადიადა.
დღე-ღამ ანათებს მისი გული, საქმე და ღვაწლი,
ძილგატეხილი ხალხზე ფიქრით გათეთრდა კაცი.
ამ ჭაღარაში ბრწყინავს მადლი ცისა და მიწის
და ეს ჭაღარა ახლაც ქვეყნის სამზეოდ იწვის.
მისი თმის შუქი გამარჯვების არის ნიშანი.
წყალნი წავიდნენ-წამოვიდნენ, დარჩნენ ქვიშანი.
ამ ნათლის შუქით დღეს ავხსენი ჩემს გულს სარქველი
და ჩემს სტრიქონსაც ამ სპეტაკ თმის ადგას ნათელი.
ამ თმის ჭაღარა არასოდეს არ უფრთხის ავდარს,
ამ თმის სინათლე ეფინება ღიმილად მთა-ბარს.
ჭაღარა ესე ქვეყნისათვის სანატრელია.
მისი სიკეთე არასოდეს გამოგველიოს!

ხელოვნება და კაპიტალი

მონასტრები აუქციონზე

ესპანეთში ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი ტურისტი ჩადის. მათ იზიდავთ არა მარტო კოსტა-ბრავოს ოქროსქვიშიანი პლაჟები, კასტანეტებით ტემპერამენტული ცეკვები ან ხახელგანთქმული ხარებთან ბრძოლა — კორიდა, ესპანეთი აგრეთვე დიდი მხატვრებისა და მწერლების სამშობლოა. ესპანელი ხალხის არქიტექტურას, ხატვითსა და დეკორატიულ ხელოვნებას თვალსაჩინო ადგილი უკავია მსოფლიო კულტურის საგანძურში. ნიჭიერ ხუროთმოძღვრებსა და მშენებლებს უნარიანად შეუთამებიათ ნაგებობის სიმკაციე ქვის ჩუქურთმის ფილიგრანულ სინატიფესთან. ნაირფერი ვიტრაჟები და ჭედური რკინის რიაულები მნახველს ოცცებს მაღალმხატვრული ოსტატობით. დღემდე მრავალი ციხე-სიმაგრის კედლებსა და კოშკურებს, დიდებულ კათოლიკურ ტაძრებს, რომლებიც გაბნეულია კასტილიაში, ანდალუზიასა და კატალონიაში, წარსულ დღეთა სიდიადის ნიშანი აზის.

მაგრამ ახლა ამ მარადიულ ხილამაზეს საფრთხე დაეშუქრა.

როგორც მადრიდის გაზეთი „აბც“ იტყობინება, ერთ

აწმყოდ ქცეული წარსული

გამოფენის დარბაზიდან

ახალი ყოველთვის დაბრკოლების გადალახვას გულისხმობს. ამიტომაც პროგრესი მოწინავე იდეებს გარდა მოითხოვს შეხანშინავ ადამიანებს, რომელთა ცხოვრებისეული პრწამსი გაცისკროვნებულია ერისადმი სიყვარულით, მოქალაქეობრივი ხიმტკიცით, კაცთმოყვარეობის იდეალებით. მთელი გულწრფელობით უნდა ითქვას — გურამ თიკანაძის ხანმოკლე ხიცოცხლე სწორედ ის ცისკარია, ის აისია, რომელმაც გვაუწყა — ჩვენში, ხელოვნებათა დიდ ოჯახს კიდევ ერთი წევრი — შუქით ხატვა შეემატა. მან ეს გააკეთა ძალდაუტანებლად, ყოველგვარი რიტორიკის გარეშე — თავისი შემოქმედებით.

გურამ თიკანაძემ ფოტოგრაფიას (ანუ შუქით ხატვას, შუქით წერას) კვლევის საგანი მოუძებნა. დაგვანახვა ჩვეულში მნიშვნელოვანი, ყოველდღიურში არსებითი. მზესავით ობიექტივით გაგვიზიარა თავისი ყველაზე ხანუკვარი ოცნებანი, დაგვარწმუნა, რომ ფოტოაპარატი ხელოვანის ხელში ისეთივე თვინიერი და დამჭერია, როგორც ფუნჯი, ვიოლინო, კალამი. ხშირად შეგნებით უარს ამბობდა ტექნიკის უახლეს მიღწევებზე და მუშაობდა ჩვეულებრივი, რიგითი „ფედით“. ეს უფრო ვირტუოზის ნებივრობა იყო და ერთგვარი პასუხიც ფოტოხელოვნებაში დაეჭვებულთათვის.

სურათს იღებდა ყოველთვის დაფიქრებით, დინჯად. ღილაკზე თითის დაჭერა დაგვირგვინებაა შემოქმედების გარკვეული ნაწილისა. მან ეს კარგად ეხმოდა. ამიტომაც ყოველი სურათი კომპოზიციურად ძალზე მკვრივი, ხასიათით ნათელი გამოსადეოდა. მარად ცვალებადი, უსასრულოდ ფერადოვანი ხიცოცხლე გურამ თიკანაძისათვის აღსავსე იყო სიმბოლოებით — სიტყვებით, მცნებებით. მათი საზრიანი ურთიერთ დაკავშირებით ქმნიდა პოეტურ ფრაზებს, ასე მადლიანად გადმოცემულს სურათებში.

საქართველოს წარსულში მრავალი ფოტოგრაფი პყავდა — ალექსანდრე როინიშვილიდან დღემდე თითქმის საუკუნემ განვლო. მაგრამ გურამ თიკანაძის სიკეთე უბრალელესად იმაშია, რომ წარსულის გათვალისწინებით, თავისი შეხანშინავი შემოქმედებით, პირადი, ადამიანური თვისებებით (რაც ყოველთვის ფრიად მნიშვნელოვანია) მხატვრული ხაზოგადოების სიყვარული და როგორც შემოქმედმა საყოველთაო აღიარება დაიმსახურა.

ფოტოკონკურსებში გურამ თიკანაძეს ოქროს მედალი არც ერთხელ არ მიუღია. დღეს, ჩვენი რესპუბლიკის ფოტოჟურნალისტებს, ფოტომხატვრებს მრავლად აქვთ უმაღლესი ჯილდო — ოქროცა და ვერცხლიც, მაგრამ ეს ალბათ არ მოხდებოდა (ან მოხდებოდა საგრძნობი შეგვიანებით) იმ, უკვე შორეულ ორმოცდაათიან წლებში ვენეციის კონკურსში პირველად ქართული ფოტოგრაფიის ისტორიაში. სურათისათვის „თბილისის ზღვა“ ბრინჯაოს მედალი რომ არ მიეღო. დრომ მისი ბრინჯაო ოქროს ზოდებზე მეტად გაძვირა!

მთაში დაღუპული ვაჟკაცი, როგორც წესი, ყოველთვის მარხილით, ხარებით ჩამოჰყავთ. გურამ თიკანაძე — შნარას ტრაგედიის მსხვერპლი ხვანებმა მხრებით ჩამოასვენეს. მას შემდეგ განვლო ათმა წელმა. გარდასულ დღეთა ფერადოვნებამ მრავალი გადაგვავიწყა, მაგრამ გურამის სურათებში ასე ლამაზად გადმოცემულმა ხიცოცხლით აღფრთოვანებამ კვლავ შეგვახსენა ძირითადი ჭეშმარიტება — მხოლოდ ადამიანთა სიყვარულია არსი ხიცოცხლისა და ნუგეში მისი დასასრულისა. ხალხმრავლობა გამომცემლობა „მერანის“ დარბაზში, სადაც გამოფენილია შეხანშინავი ფოტოშემოქმედის ნაწარმოებები, ამის ყველაზე ნათელი დასტურია.

სანდრო მამასახლისი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

სურათებზე: გამოფენის ექსპონატები, გურამ თიკანაძის ნამუშევრები — ზემოთ „მევენახე“; ქვემოთ — „მშვენიერების ძიებაში“.

ეს მოხდა ზღვაში

სიცოცხლის დაგრუნება

„მე მეორედ დავიბადე“, — ეს იყო სამიუ საკუთაის, 46 წლის მეთევზის პირველი სიტყვები, როდესაც იგი ოპერაციის შემდეგ გონს მოვიდა. ხუთი დღეკამის განმავლობაში ებრძოდნენ სიკვდილს ექიმები საბჭოთა ნავსადგურ ხოლმსკის მეზღვაურთა ნავსადგომყოფოში. მეექვსე დღეს იაპონელ მეთევზეს ცნობიერება დაუბრუნდა.

შუნა „ტაიბაცუსეი-მარუ“ თევზის რეწვას ეწეოდა იაპონიის ზღვის ნრდილოეთით. გემბანზე მუშაობის დროს საკურთამ მძიმე ტრავმა მიიღო. იაპონიის ნავსადგურ ვაკანაიმდე შორს იყო, ხოლო დაზარალებულის მდგომარეობა სწრაფად უარესდებოდა. ხომალდმა კურსი აიღო უახლოესი საბჭოთა ნავსადგურისაკენ, თან რადიოთი აცნობა ნავსადგურის ხელმძღვანელებს მოხდარი შემთხვევის შესახებ.

საბჭოთა ნავსადგურის ნავმისადგომთან ავადმყოფს უკვე ელოდა სასწრაფო დახმარების მანქანა. მეზღვაურთა საავადმყოფოს ქირურგმა ალექსანდრე შიპოლოვმა იქვე გასინჯა დაზარალებული. ტრავმის მიღებიდან თხუთმეტ საათზე მეტი დრო გავიდა და მეთევზე ძალიან ძმიე მდგომარეობაში იყო. მუცლის ღრუს ღრმა ტრავმა, ჩირქოვანი პერიტონიტი—დასვა დიაგნოზი ექიმმა. ავადმყოფი დაუყოვნებლივ გაგზავნეს საოპერაციოში. ალექსანდრე შიპოლოვი და ვლადიმერ ანტონოვი რამდენიმე საათის განმავლობაში აკეთებდნენ ოპერაციას. რთულმა ოპერაციამ კარგად ჩაიარა. ამჟამად საკურაის სიცოცხლე საიმედო ხელშია. მეთევზე მოკლე ხანში სრულად გამოჯანმრთელებული დაუბრუნდება ოჯახს. (ახ).

ფელეტონი

მე, მარილეგი, ფნევა და აგაზანა

ხასწაული წყალტუბოსა, აბა, ვის არ გაუგია,
დარბაზები, სასახლენი, მშრომელთათვის აუგიათ,
იკურნება დავრდომილი, ხდება დიდი გარდატეხა,
ავადმყოფმა ყავარჯნები ჩემს თვალისწინ გადაეხა!
პატივი მცეს დიდებული, ყველაფერი თავის დროზე,
რა სჯობია მკურნალობას, მზისთვ, შემოდგომის ფონზე-
არ დავმალავ, ექიმს ვუთხარ: — მარილები კი მაქვს, მაგრამ
მეშინია ძველმა წნევამ აუზში რომ თავში დამკრას!
— წადი, სცადე, — მიპასუხა, — ნუ გექნება გულში შიში, —
აბაზანა წნევასაც რგებს, გადაშენდეს მისი ჯიში! —
აბაზანა რომ მივიღე, შესამე დღეს დამკრა წნევამ,
ექიმების, ექთანების მოსვლამ დიდად გამამხნევა!
კარგად გავხდი, წამოვდექი, ექიმს ვკითხე ლამაზთვალას:
— ქალბატონო, შეიძლება რომ მივიღო აბაზანა?
— როგორ არა. გამეხარდა, მოვეშზადე წასასვლელად,
ნაცნობ ექიმს შევეფეთე: — უკვე მორჩი ახე ხელად?!
— სად მიდიხარ? აბაზანა... — რა კაცი ხარ, დარდიმანდი,
გამოცდილ კაცს გეძახიან, არ გამრიყვდე, უკან წადი!
ჩემოდანი გადმოვიღე, არ მსურს ვინმე დავინახო,
ვხედავ, წამში, ჩემს ოთახში, შემოვიდა ალისტარახო!
— გამარჯობა! სად მიდიხარ, არ დარჩები ჩვენთან ვალში,
ჩემოდანი გვერდზე დადე, ისარგებლე, ნადი წყალში! —
და ბოლოს კი, როგორც იქნა, ადგილიდან დავიძარი,
წინ შემომხვდა ძველსხძველი ჩემი სიყრმის მეგობარი.
ავუხსენი, რაც გადამხდა, აფრახიონ ფანჯავიძეს,
— კაცი არ ხარ? მითხარ: წყალში ჩავიდე თუ არ ჩავიდე?!
ექიმს ჩუმად ჩაეცინა: — ძლივს გიპოვე მეგობარი,
არ ჩახვიდე, თუ არა გსურს, რომ წაგლონ ცოცხალ-მკვდარი!—
ზოგმა ეს თქვა, ზოგმა ისა, დამაბნიეს როგორც ბრინჯი,
ფიქრს უნდება შეებულება, გულს გამიჩნდა რაღაც ხინჯი,
ერთი ამბობს: — შიგ ჩადიო... — მეორე კი — არ ჩახვიდე,
რა დღეში ვარ ჩავარდნილი, ექიმების ჯადამიდე!
როგორც იქნა გადავწყვიტე: რომ ჩამოწვა ოდნავ ბინდი,
ავდექი და უყოყმანოდ ისევ თბილისს ჩამოვფრინდი!

კ. გოგიაშვილი.



ზოგმა ეს თქვა, ზოგმა ისა, დამაბნიეს როგორც ბრინჯი...

ა. კანდელაკის ნახატი.

**1. ფ. ლ. ბ. ბ. ბ